

#493

ქ. თბილისი

13 მარტი, 2024 წელი

**ტელეკომპანია „ფორმულას“ (ს/კ 405345666) თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება
შპს „ენ პროდუქტის“ (ს/კ 402072145) საჩივართან დაკავშირებით**

კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე/ ტელეკომპანიის პოლიტიკური გადაცემების მთავარი პროდიუსერი - გიორგი ლაფერაშვილი;

კომისიის წევრი/ ტელეკომპანიის დირექტორი - ზურაბ გუმბარიძე;

კომისიის წევრი/ გადაცემა „შაბათის ფორმულას“ პროდიუსერი - მარიამ ფანქველაშვილი;

დაინტერესებული პირი/საჩივრის ავტორი:

შპს ენ პროდუქტის (ს.კ. 402072145) დირექტორი, ნინი გაგნიძე; პ/ნ 01030045156,

მის; ვეფხისტყაოსნის ქ. N 88 ბ. 16, ტელ: 557853355, ელ ფოსტა; gagnidzenina@gmail.com.

აღწერილობითი ნაწილი:

2024 წლის 15 თებერვალს ტელეკომპანია „ფორმულას“ საპასუხო ცნობების გამოქვეყნების თაობაზე საჩივრით შპს „ენ პროდუქტის“ დირექტორმა, ნინი გაგნიძემ მიმართა. საჩივარი შეეხებოდა ტელეკომპანიის ეთერში, გადაცემა „შაბათის ფორმულაში“ 2024 წლის 10 თებერვალს გასულ სიუჟეტს.

სიუჟეტის შინაარსი: სადავოდ გამხდარი გადაცემის მონაკვეთს წინ უძღვის შესავალი, წამყვანების, თამარ ბაღაშვილისა და დავით ქაშიაშვილის მიერ, სადაც ისინი სიუჟეტის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხის შესახებ საუბრობენ. კერძოდ, წამყვანთა თქმით, იმ საკვები პროდუქტების შემადგენლობაში, რომლითაც გორის ბაგა-ბაღები მარაგდება, აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებები. თამარ ბაღაშვილის თქმით, სიუჟეტის მიზანია გაირკვეს, თუ როგორ აღმოჩნდა აღნიშნული ნივთიერებები საკვებ პროდუქტებში და იყო თუ არა აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული გორის სკოლამდელ აღსაზრდელთა სააგენტოს ხელმძღვანელობა. დავით ქაშიაშვილი აგრძელებს თემაზე საუბარს და ამბობს, რომ სააგენტოს თანამშრომლებმა თავდაპირველად უარყვეს, შემდგომში კი, დაადასტურეს, რომ საკვები ნამდვილად დაბინძურებული იყო.

თავად სიუჟეტის სახელწოდებაა „საშიში საკვები ბავშვებს“. უშუალოდ სიუჟეტი იწყება გორის მე-6 და მე-12 ბაგა-ბაღების დირექტორების ჩანაწერებით. მაყურებელს ექმნება განცდა, რომ დირექტორებმა „ფორმულას“ ჟურნალისტების მეშვეობით შეიტყვეს, რომ ბაღებისათვის საკვები პროდუქტების მოწოდებელი კომპანიის, შპს „ენ პროდუქტის“ საექსპერტო დასკვნაში შესაძლოა აღმოჩენილი იყო სტაფილოკოკი, რკინა და სხვა მძიმე მეტალები. ჟურნალისტს წარმოდგენილი აქვს სატენდერო დოკუმენტაციიდან აღებული საექსპერტო დასკვნა, რომელსაც სიუჟეტის განმავლობაში ეყრდნობა და იყენებს რესპონდენტებთან კომუნიკაციაში. რესპონდენტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ეს დასკვნა

უნდა შეემოწმებინა სააგენტოს და დარღვევების არსებობის შემთხვევაში, არ დაეშვა ამ პროდუქტების ბალებში მოხვედრა.

სხვა რესპონდენტები:

ლექსო მერებაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი- ის საუბრობს ტენდერის ჩატარების კანონიერებასთან დაკავშირებით. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ტენდერის კანონიერება ეჭვს იწვევს, ვინაიდან ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა კომპანიამ მიიღო.

გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ვახტანგ გიუნაშვილი. გიუნაშვილმა განაცხადა, რომ ჟურნალისტის მიერ მისთვის ნაჩვენები დოკუმენტაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, სააგენტოში სხვა საბუთები იყო წარმოდგენილი და ანალოგიური მონაცემები იქ არ იყო წარმოდგენილი.

სიუჟეტის ავტორი აგრძელებს საუბარს ზოგად პოლიტიკურ კონტექსტზე, აცხადებს, რომ ბავშვთა კვება მმართველი გუნდისათვის პრიორიტეტულ საკითხს არ წარმოადგენს და ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უფასო კვების ინიციატივა განუსაზღვრელი ვადით გადავადდა. ჟურნალისტი ასკვნის, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს მომავალი თაობის ჯანმრთელობის დასაცავად.

აღნიშნულს მოსდევს დიმიტრი შაშკინის, პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის კომენტარი. რესპონდენტი ბავშვთა კვების საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკურ შეფასებას აკეთებს. იგი აკრიტიკებს მმართველ გუნდს იმაში, რომ ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას სკოლებში უფასო კვების დანერგვასთან დაკავშირებით სამთავრობო მხარდაჭერა არ აქვს და მისი დანერგვა ჯერჯერობით მხოლოდ ლოკალურად, წალენჯიხაში მოხდა. ასევე, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მშობლები პრაქტიკულად უუფლებონი არიან, არ აქვთ ქმედითი ბერკეტი რომ ზეგავლენა მოახდინონ ბავშვების საკვებ მენიუზე, მიწოდებული პროდუქტის ხარისხზე.

ამის შემდეგ ჟურნალისტი მიდის „ენ პროდუქტის“ იურიდიულ მისამართზე. კადრებიდან ჩანს საცხოვრებელი სახლი, თუმცა არ არის რაიმე მიმანიშნებელი აზრა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამ მისამართზე რეალურად ფუნქციონირებს საწარმო. ჟურნალისტი ასკვნის, რომ კომპანია ფიქციურ მისამართზეა რეგისტრირებული.

სიუჟეტი გრძელდება „ენ პროდუქტის“ მენეჯერ რეზო გილიგაშვილთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერით. გილიგაშვილი ჟურნალისტს განუმარტავს, თუ როგორ მუშაობს ტენდერში მონაწილეთა შეფასების პროცესი, კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის ნიშნულებს ადარებენ ე.წ. „გოსტებს“, თუ მაჩვენებელი ნორმაშია, წერენ დასკვნას, რომ შეესაბამება სტანდარტებს.

ვატო სურგულაძე, პარტია „ლელოს“ წევრი. სურგულაძის თქმით, „გოსტები“, ეს იგივე გოსუდარსტვენის სტანდარტ არის, ე.ი. საბჭოთა კავშირის დროს მიღებული სტანდარტი. სურგულაძე მოძველებულ სტანდარტებს უკავშირებს ონკოლოგიური დაავადებებისა და სხვადასხვა სახის ინფექციების ფართო გავრცელებას ბავშვებში, მათ შორის, საუბრობს სტაფილოკოკზე, როგორც ერთ-ერთ მძიმე ბაქტერიულ დაავადებაზე, კანის ანთებაზე, პლევმონიაზე. მისი თქმით, მძიმე მეტალები გროვდება ორგანიზმში თანდათანობით და მარტივად არ გამოდის ორგანიზმიდან.

ანა ბალიაშვილი, გორის საკრებულოს წევრი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. ბალიაშვილმა ისაუბრა კორუფციული ტენდერების საკითხზე და ბალების გაერთიანების პასუხისმგებლობაზე ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით.

ლექსო ვალიაური, სამოქალაქო აქტივისტი გორიდან. ვალიაურმა ბაგა-ბალების ინფრასტრუქტურის მძიმე მდგომარეობაზე ილაპარაკა. ვალიაურის თქმით, ერთ-ერთი ბაგა-ბადის შენობა ავარიული იყო, ფილები ჩამოიშალა, ვინაიდან შენობის მშენებლობის პროცესში იყო დაშვებული შეცდომები.

განმცხადებლის მოთხოვნა:

განმცხადებლის პოზიციაა, რომ სიუჟეტში გავრცელებული ცნობები, მათ შორის, სიუჟეტის სათაური, ცრუ და შეცდომაში შემყვანია, ამ განცხადებებით შეილახა კომპანიის რეპუტაცია და მას მიაღდა ფინანსური ზიანი. „მაუწყებლობის შესახებ კანონის“ 52-ე მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განმცხადებელი ითხოვს ფაქტობრივი შეცდომების შესწორებას თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზეად მითითებულია: „მაუწყებლობის შესახებ“ 52-ე და 54-ე მუხლი მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები.

განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი:

„შპს ენ პროდუქტი გამოეხმაურა შაბათის ფორმულას მიერ 2024 წლის 10 თებერვალს გასულ სიუჟეტს, რომელიც ეხებოდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში რძის პროდუქტების საკითხს. შპს ენ პროდუქტმა წარმოგვიდგინა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, ექსპერტიზის დასკვნები და შემოწმების ოფიციალური დასკვნები, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ რძის პროდუქტებში აღმოჩენილი მავნე ნივთიერებები იყო კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში, კერძოდ „ანალიზების შედეგად შემოწმებული ორგანოლეპტიკური, ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური პარამეტრები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებს: სახელმწიფო სტანდარტისა და საქართველოს სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნებს“, შესაბამისად და მათ მიერ ბაღებისათვის მიწოდებული პროდუქცია არ არის საშიში ბავშვების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.“

განმცხადებლის პოზიცია:

განმცხადებლის მოსაზრებით, სადავო ჟურნალისტური პროდუქტი შეიცავდა ფაქტობრივ უზუსტობებს, რითაც უხეშად შეილახა კერძო კომპანიის კანონიერი ინტერესები. განცხადების დასაწყისში განმცხადებელი მიუთითებს შვიდ გარემოებაზე, სადაც მისი თქმით, ადგილი ჰქონდა არასწორი ფაქტების გავრცელებას ტელეკომპანიის წარმომადგენლების მხრიდან. პირველი ორი დავით ქაშიაშვილსა და თამარ ბაღაშვილს მიემართება, რომლებმაც სიუჟეტს შესავალი გაუკეთეს და მისი შინაარსი გააცნეს მაყურებელს. განმცხადებლის თქმით, ორივე წამყვანმა სიუჟეტის შესავალში გადაჭრით ისაუბრა არასწორად ინტერპრეტირებულ ფაქტზე, რომელიც იყო ტყუილი და არ გამომდინარეობდა ექსპერტის დასკვნიდან.

რაც შეეხება თავად სიუჟეტს, განმცხადებლის პრეტენზიები რამდენიმე საკითხს მიემართება.

ჟურნალისტმა არ გააშუქა მძიმე მეტალებისა და ბაქტერიების შემცველობა „ენ პროდუქტის“ მიერ დამზადებულ პროდუქციაში იყო თუ არა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებში და მსგავსმა ფორმულირება შეიყვანა საზოგადოება შეცდომაში;

გორის ბაგა-ბაღების დირექტორებთან კომუნიკაციაში ტყუილის შემცველი ფაქტის გავრცელება მოხდა;

ჟურნალისტის შეფასებით ექსპერტიზის დასკვნა იყო საეჭვო, თუმცა არ უთითებს არცერთ წყაროზე, თუ საიდან ასკვნის, რომ დასკვნა არის საეჭვო.

განმცხადებლის თქმით, ტყუილია, რომ კომპანია „ენ პროდუქტი“ ფიქტიურ მისამართზეა რეგისტრირებული;

განმცხადებლის აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება ჟურნალისტის დასკვნა, რომ, „სანამ გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილებებს ბაღებში კვების საკითხებთან დაკავშირებით ბრმად იღებენ,

ათასობით აღსაზრელი საშიში შემცველობის პროდუქტით იკვებება. რა ბედი ელის ბავშვების ჯანმრთელობას ჯერ კიდევ გაურკვეველია.“

განმცხადებლის მოსაზრებით, სიუჟეტში ტყუილის შემცველი ფაქტი გაჟღერდა. იქიდან გამომდინარე, რომ როგორც 2023 წლის 25 დეკემბრის, ასევე 2024 წლის 04 იანვრის, აგრეთვე 2024 წლის 07 თებერვლის „ექსპერტიზა +“-ის მიერ ჩატარებული დასკვნებით, სტაფილოკოკი, მძიმე მეტალები და ბაქტერიები კანონით გათვალისწინებული ზღვრული ნიშნულების ფარგლებში იყო, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ჟურნალისტის კრიტიკა დასკვნისადმი იყო უსაფუძვლო. განმცხადებლის თქმით, ყველა ნატურალურ პროდუქტში, რომელიც მზადდება ნატურალურად, შეიცავს გარემოში არსებულ ნივთიერებებს. მთავარი მოთხოვნაა, რომ ეს ნივთიერებები დასაშვები ნორმის ფარგლებში იყოს, რომელიც დადგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №301/ნ-ის საფუძველზე.

განმცხადებლის თქმით, სადავო ჟურნალისტური პროდუქტით რეპუტაციის შელახვამ შპს „ენ პროდუქტს“ მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიაყენა.

საჩივრის დასაშვებობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 20 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე დამტკიცებულია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელს უფლება აქვს აირჩიოს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და ამ კოდექსის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, ტელეკომპანია “ფორმულა” თვითრეგულირების მექანიზმის გზით საჩივრებს განიხილავს შპს „ფორმულას“ დირექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანების #Formula00-002 (27/09) საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. წინამდებარე დებულება განთავსებულია შპს „ფორმულას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე და იგი საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ კრიტერიუმებს, საჩივრის განხილვის ვადებს, პროცედურებს და სხვა გარემოებებს. დებულების თანახმად, ტელეკომპანია ფორმულამ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი.

კომისია განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა განისაზღვროს, წარმოადგენს თუ არა საჩივრებში აღნიშნული საკითხები კომისიის რეგულირების სფეროს და წარმოადგენენ თუ არა საჩივრის ავტორები დაინტერესებულ პირებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე

პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი განმარტავს დაინტერესებული მხარის ცნებას, რომელსაც აქვს შესაბამისი უარყოფის მოთხოვნის უფლება. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის „ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში“.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი არის პირი, რომელიც მოხსენიებულია პროგრამაში, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას აქვს უფლება საჩივრით მიმართოს ტელეკომპანიის თვითრეგულირების ორგანოს და მოითხოვოს შესაბამისი საკითხის განხილვა.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების (გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა), აგრეთვე სალიცენზიო პირობებისა და ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი საკუთარი სამართლებრივი დასაბუთებისთვის უთითებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე და 54-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება და რომლის არსებობის შემთხვევაშიც კანონი არ იძლევა კომისიისთვის ან სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას, ხოლო დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება, ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა. საჩივარი შემოსულია ტელეკომპანია „ფორმულაში“, ამდენად სწორედ მისი თვითრეგულირების ორგანოს (კომისიის) უფლებამოსილებას მიეკუთვნება მასში მოცემული საკითხების განხილვა, ზეპირის სხდომის ჩანიშვნა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

კომისია აღნიშნავს, რომ თვითრეგულირების მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და საამისოდ მაუწყებელს შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულება.

შესაბამისად, დასაშვებად ცნობს დაინტერესებული პირის საჩივარს და იღებს მას არსებითად განსახილველად, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ზეპირი მოსმენის გარეშე საჩივრის განხილვის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონი არ ადგენს თვითრეგულირებაში შემოსული საჩივრის, მხარის სავალდებულო მონაწილეობით განხილვის დათქმას, გარდა ამისა, კომისია მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირის მიერ სრულფასოვნად არის ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოთხოვნა, იგი არ საჭიროებს დაზუსტებას და დამატებითი არგუმენტაციის წარდგენას საჩივრის შემომტანი პირის მხრიდან.

გარდა ამისა, კომისია ყურადღებას ამახვილებს საჩივრის განხილვის ვადებზე:

კერძოდ, ტელეკომპანია „ფორმულა“-ს თვითრეგულირების დებულების 5.3. პუნქტის თანახმად, საჩივრები განიხილება დროულად, გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

ვინაიდან, საჩივრის თვითრეგულირების ორგანოში შემოსვლის პერიოდი ემთხვევა ტელეკომპანიაში დაწყებულ სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესს, თანახმად ორგანიზაციული ცვლილებების სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ 2024 წლის 30 იანვრის შპს „ფორმულა“-ს დირექტორის

ბრძანებისა #Formula00-048, წინამდებარე ბრძანებით რეორგანიზაციის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 16 მარტის ჩათვლით არსებული (საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის შეტყობინების გაგზავნიდან - 45-ე კალენდარული დღე), აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადების გაზრდა ხუთი სამუშაო დღის ვადით, ჯამში არაუგვიანეს 2024 წლის 15 მარტისა.

სამოტივაციო ნაწილი

გადაცემა - „შაბათის ფორმულა“ ანალიტიკური და საგამომიებო ფორმატის გადაცემაა. ამ ფორმატის გადაცემები, როგორც წესი, მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს ეძღვნება, ჟურნალისტი/ გადაცემის ავტორი სვამს აქტუალურ შეკითხვებს, ესაუბრება რესპონდენტებს და ცდილობს, ამ კითხვებს პასუხი გასცეს. საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ჟურნალისტები ატარებენ ერთგვარ გამოძიებას, რათა სრულყოფილი სურათი შექმნან, გამოაშკარავონ სახელმწიფოს, ან სახელმწიფოსთან აფელირებული პირებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევა, გაანალიზონ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და საზოგადოებას დროული და გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდონ ამ თემებზე.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო ჟურნალისტური პროდუქტი - სიუჟეტი მიეძღვნა შიდა ქართლის ბაგა ბაღებში არსებული საკვები (რძის) პროდუქტების ვარგისიანობის საკითხს. ჩანს, რომ სიუჟეტის ავტორის მიზანი იყო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემის ირგვლივ კითხვების დასმა და საკითხზე პასუხისმგებელი პირების, საკითხში გარკვეული ექსპერტებისაგან პასუხების მიღება. ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მცირეწლოვნების ჯანმრთელობა და საკვები პროდუქტების ხარისხი ბაგა-ბაღებში მომეტებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხია.

განმცხადებელი საკუთარ მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ სიუჟეტში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. ის საექსპერტო დასკვნები, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაშია წარმოდგენილი, საჩივრის ავტორის თქმით, ადასტურებს, რომ რძის პროდუქტების შემცველობა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისი იყო. განსახილველი საკითხი სპეციფიკურია, ეხება ჯანდაცვის სფეროს და დარგის კონკრეტულ რეგულაციებს კვების სტანდარტებთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ განმხილველი კომისია, დაკომპლექტებულია მედიის სფეროში მომუშავე პირებისაგან და საკითხის სიღრმისეული განხილვა სათანადო კომპეტენციას საჭიროებს, ვერ შევალთ სიუჟეტში განხილული საკითხების შინაარსში და ვერ ვიმსჯელებთ ფაქტების მცდარობა-უსწორობაზე. ჩვენი შეფასების საგანი იქნება რამდენად იყო დაცული ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტები „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“, „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის“ და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სტანდარტით. ამისათვის შევამოწმებთ 3 ძირითად კომპონენტს:

- (ა) რას ეყრდნობოდა ჟურნალისტი და იდენტიფიცირებადია თუ არა მისი წყარო სიუჟეტში?
- (ბ) გადამოწმდა თუ არა ინფორმაცია განცხადებების ადრესატთან? ჩანს თუ არა ადრესატის პოზიცია სიუჟეტში?
- (გ) ჩანს თუ არა სიუჟეტში ადრესატის პოზიცია იმ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზეც მოგვმართა განმცხადებელმა?

სიუჟეტიდანვე ჩანს, რომ ჟურნალისტი მასალის მომზადებისას დაეყრდნო წყაროების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო

ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. დოკუმენტურ მასალად კი საჯაროდ ხელმისაწვდომი საექსპერტო დასკვნა გამოიყენა, რომელიც სატენდერტო დოკუმენტაციასთან ერთად არის განთავსებული. ეს დოკუმენტები თავად საჩივრის ავტორის მხრიდან იქნა წარდგენილი ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნებისათვის. აღნიშნულ საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კონკრეტული პროდუქტების სხვადასხვა მავნე ნივთიერებების შემცველობის თაობაზე, რომელიც, საჩივრის ავტორის მტკიცებით, ჯდება კანონით დადგენილ დასაშვებობის ზღვარში.

ჟურნალისტმა უზრუნველყო, რომ წყაროებმა საჯაროდ ისაუბრეს ტელეეთერით მათი დასკვნების თაობაზე. წყაროები დივერსიფიცირებული იყო და მათ სხვადასხვა კუთხით შეაფასეს კონკრეტული საექსპერტო დასკვნა. კერძოდ, სამედიცინო სფეროს ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება ბავშვებისათვის პოტენციურ ზიანზე, რომელიც პროდუქტებში დასკვნის მიხედვით აღმოჩენილმა ნივთიერებებმა გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს. იურისტებმა ისაუბრეს ტენდერის ჩატარების პროცესის კანონიერებაზე, ხოლო აქტივისტებმა უფრო ვრცელ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში გააკრიტიკეს ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობა.

სიუჟეტიდან ჩანდა, რომ ჟურნალისტის კითხვები და ჩატარებული მოქმედებები მიემართება იმას, რომ გადაამოწმებინა დასმული საკითხები და სხვადასხვა პერსპექტივით მიეწოდებინა საკითხი მაყურებელსამდე. ამ მიზნით, შეიკრიბა ცნობები და კითხვების დასასმელად მიმართა სხვადასხვა წყაროს, რომლებიც საუბრობენ სიუჟეტში. არაერთ დამოუკიდებელ წყაროსთან ერთად, ჟურნალისტი დაინტერესდა თავად საჩივრის ავტორის წარმომადგენლების კომენტარითაც. სწორედ აქ მიეცათ მათ საკუთარი არგუმენტების და პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა, რაც ასახულია კიდევ სიუჟეტში. კერძოდ, **შპს “ენ პროდუქტის” მენეჯერი რეზო გილიგაშვილი სატელეფონო საუბრის დროს აღნიშნავს:** *“ფაქტური შედეგები რაც არის იმას წერენ, ადარებენ გოსტებს, თუ დასაშვებ იმაშია [ფარგლებშია] წერენ უკვე დასკვნას, რომ შესაბამეა სტანდარტებს და იძლევიან შესაბამისად დასკვნასაც, ისე ვინ გაგვაშვებინებდა ჩვენ ამას, საბავშვო ბაღებში?! ხომ ატეხავდნენ განგაშს და იტოდნენ, რომ თქვენი ეს არ შესაბამეა..”*

აქედან ჩანს, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენლების პოზიცია აღქმადია მაყურებლისათვის. კერძოდ, დაფიქსირებულია, რომ განმცხადებელი კომპანიის წარმომადგენლები, ე.ი სიუჟეტში გავრცელებული ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ადრესატები უარყოფენ გამოთქმულ მოსაზრებებს, მათ შორის, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელთა შესწორებაც მოთხოვნილია შემოსული საჩივრით. შესაბამისად, მომზადებული სიუჟეტი, იყო მრავალმხრივი და არ ასახავდა მხოლოდ ჟურნალისტის, ან რომელიმე ერთი მხარის პოზიციას, აქედან გამომდინარე, დაცული იქნა მიუკერძოებლობის სტანდარტი.

ჟურნალისტს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ამ სფეროში (კვების/ჯანდაცვის სფეროში) შესაბამისი ცოდნა და საექსპერტო გამოცდილება, შესაბამისად, ის დაეყრდნო ექსპერტების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს და მოსაზრებებს, რასაც სიუჟეტის განმავლობაში ავითარებენ სხვადასხვა რესპოდენტები.

სიუჟეტის ერთ-ერთი რესპოდენტი, ვატო სურგულაძე, ჯანდაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე პირი, ექსპერტია. ის საუბრობს კანონის ხარვეზზე, რომ საბჭოთა კავშირისდროინდელი ე.წ. გოსტების მიხედვით ხდება საექსპერტო დასკვნების გაცემა და აყენებს ექვემდებარება კანონის დათქმებს. იგი აღნიშნავს, რომ პრობლემა კანონშია, კანონი აქსიომას არ ნიშნავს, კრიტიკულად უნდა უყურო საკითხს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ბავშვთა უფლებებს.

ვატო სურგულაძე სიუჟეტში აღნიშნავს შემდეგს: *„ეს ანალიზი რაც გაკეთდა, გვერდზე უწერია ნორმები. რაში უწერია? ნორმები უწერია? „გოსტებში“, გოსტი რას ნიშნავს? ეს არის “გოსუდარსტვენნი სტანდარტ”. საბჭოთა კავშირის დროს მიღებულ სტანდარტებში. მერე გვიკვირს რატომ არის ამდენი ონკოლოგიური დაავადება? განსაკუთრებით, ბავშვებში. რატომ გვაქვს ინფექციები? საკმაოდ მძიმე ინფექციები. სტაფილოკოკი არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბაქტერიული დაავადება, რომელმაც*

შეიძლება მოგვეცეს კანის ანთება, პნევმონია, მძიმე მეტალები პრობლემაა. ეს გროვდება. ეს არც ისე ადვილად გამოდის ორგანიზმიდან...”

სიუჟეტის მიზანია საზოგადოების ყურადღება გაამახვილოს იმ სამომავლო რისკებზე, რაც შეიძლება დადგეს ტოქსიკური ნივთიერებების აკუმულირების შედეგად ზავშვის ორგანიზმში და გრძელვადიან პერსპექტივაში გამიწვიოს ონკოლოგიური დაავადებების რისკი. - ამაზე საუბრობენ ასევე ექსპერტები.

საქართველოს კონსტიტუცია, „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და სხვა შიდა ეროვნული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები ადგენს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

ვინაიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს, საქართველოს კანონმდებლობა აწესებს მისი დაცვის მაღალ სტანდარტს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას და განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა განსაზღვრული უნდა იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის #ას-625-593-2014 გადაწყვეტილება, პ.50).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ინფორმაციის გამავრცელებს წარმოადგენს მედია საშუალება, რომელიც სხვა სუბიექტებთან შედარებით, გამოხატვის თავისუფლების განსხვავებული სტანდარტით სარგებლობს, მისი საქმიანობის პირდაპირი სფეროდან გამომდინარე. ჟურნალისტი ავრცელებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მოპოვებული ჰქონდეს სხვადასხვა (მათ შორის, კონფიდენციალური) წყაროდან, თუმცა, „ჟურნალისტებისთვის ზედმეტად მძიმე მტკიცების ტვირთის დაკისრება გამოიწვევს მისი როგორც „მოდარაჯის“ (watchdog) ფუნქციის მოშლას და წაართმევს საზოგადოებას უფლებას - მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია გონივრულ დროში. სასამართლომ, არაერთ საქმეში, მრავალჯერ აღნიშნა მედიის როლის შესახებ საზოგადოების იმ უფლებასთან მიმართებით, მიიღოს ინფორმაცია. სასამართლო მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ ჟურნალისტებს აქვთ ინფორმაციის გავრცელების უფლება, არამედ - საზოგადოებას გააჩნია ამგვარი ინფორმაციის მიღების უფლება, ხოლო ამის გარეშე მედია ვეღარ შეასრულებდა თავის უმნიშვნელოვანეს როლს როგორც „მოდარაჯე“. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (SATAKUNNAN MARKKINAPORSSI Oy and SATAMEDIA Oy v. FINLAND პ 26).

იმისათვის, რომ შემოწმდეს არსებობს თუ არა საჩივრის დაკმაყოფილების შესწორების საფუძველი, აუცილებელია შემოწმდეს ინფორმაციის მიწოდებისას მაუწყებელმა დაარღვია თუ არა ჯეროვანი სიზუსტის დაცვის ვალდებულება, რამდენად დაიცვა ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები) – („მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ მე-13 მუხლი).

აღნიშნული მუხლი ადგენს იმ წესებს, რაც უნდა უზრუნველყოს მაუწყებელმა ზუსტი ინფორმაციის მიწოდების კუთხით, ხოლო ამ წესების დარღვევა შესაძლოა გახდეს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის - შესწორების უფლების შესახებ საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე.

მოცემულ შემთხვევაში, ჟურნალისტმა თავის სიუჟეტში არაერთ წყაროსთან მოახდინა მიერ მიერ მიწოდებული ინფორმაციის წყაროსა და ფაქტების სიზუსტე, შესაბამისად, მაუწყებლის მიერ დაცულია

ყველა ის გონივრული ზომის სტანდარტი, რაც დადგენილია ინფორმაციის წყაროსა და ფაქტების სიზუსტის გადასამოწმებლად.

აღნიშნული ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდების ნაწილშიც, ჟურნალისტმა გადაამოწმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია იმის თავიდან ასარიდებლად, რომ არ დაეშვა ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება.

შესაბამისად, აღნიშნული სიუჟეტი მომზადდა მიუკერძოებლად, ჟურნალისტთა პროფესიული თავისუფლებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში.

სიუჟეტი არის 8:32 წუთიანი, საკითხი გაშლილი და გაანალიზებულია ყოველმხრივ, მასში წარმოჩენილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება. ჟურნალისტს არ გაუჟღერებია გადაუმოწმებელი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, დამატებით საჩივრის ავტორს მიეცა სრულად შესაძლებლობა წარმოედგინა და განმარტა თავისი პოზიცია, შესაბამისად, არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

გამომდინარე, იქიდან, რომ „ფორმულა“-ს თვითრეგულირების ფარგლებში შექმნილი კომისია შემოსული საჩივრების განხილვას პასუხისმგებლობით ეკიდება და იაზრებს მაუწყებლის ვალდებულებებს და როლს საზოგადოებაში, თვითრეგულირების კომისია ადგენს, რომ მიუხედავად საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, საჩივრის ავტორების პოზიცია დაემატოს ვებ გვერდზე [კვება ბალებში - შაბათის ფორმულა \(formulanews.ge\)](http://formulanews.ge) - შაბათის ფორმულას სვეტში განთავსებულ ინფორმაციას, უცვლელი სახით.

დამატებული იქნას ინფორმაცია საჩივრის შემოტანის შესახებ, მიეთითოს საჩივრის შემოტანის საფუძველი, დრო, თვითრეგულირების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაემატოს საჩივრის ავტორის პოზიცია და შესწორების სახით გავრცელდეს იგი უცვლელად.

კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნული წარმოდგენს თანაზომად საშუალებას საჩივრის ავტორის პოზიციის კიდევ ერთხელ წარმოსაჩენად, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას.

სარეზოლუციო ნაწილი

კომისიის მიერ თვითრეგულირების ორგანოში შესულ და განხილულ საჩივარზე მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც:

(1) არ დადგინდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე და 54-ე მუხლების დარღვევა და არ დაკმაყოფილდეს საჩივრის ავტორის მოთხოვნები ინფორმაციის შესწორებასთან დაკავშირებით.

(2) გადაწყვეტილების ელექტორნული ასლი გაეგზავნოს საჩივრის წარმდგენ დაინტერესებულ პირებს, ელ.ფოსტაზე: gagnidzenina@gmail.com.

(3) გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #45 ან ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: legal@formula.ge.

(4) გადაწყვეტილება საჩივართან ერთად გამოქვეყნდეს ფორმულას ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.FORMULA.GE თვითრეგულირების სვეტში, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

კომისიის წევრები:

ზურაბ გუმბარიძე

გიორგი ლაფერაშვილი

მარიამ ფანქველაშვილი
